



საქართველოს საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები იხელმძღვანელებით კანონმდებლობით

კომერციული კოლეგიების/პალატების შექმნა

2016 წლის 24 ოქტომბერს იუსტიციის სამინისტროში კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მეორე სხდომა გაიმართა, სადაც განიხილეს სპეციალიზირებული კომერციული კოლეგიების/პალატების შექმნის საკითხი, რომლებიც ბიზნესის საჭიროებაზე იქნება ორიენტირებული და საგადასახადო და ბიზნეს დავებს სწრაფად და ეფექტიანად გადაწყვეტს.

რეფორმის მიზანი მართლმსაჯულების სისწრაფისა და ხარისხის ზრდაა კომერციული დავების მოგვარების საქმეში, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში საინვესტიციო კლიმატის მკვეთრად გაუმჯობესებას; ინვესტიციების, მათ შორის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, მოცულობის ზრდას და აქედან გამომდინარე, ეკონომიკისა და მისი ზრდის ტემპის შემდგომ ამაღლებას. რეფორმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი სამოქალაქო კოლეგიების განტვირთვა და საქმეთა დაგროვილი მოცულობის შემცირება იქნება.

[ოქტომბერი 2016](#)

[კომერციული
კოლეგიების/პალატების
შექმნა](#)

[მნიშვნელოვანი სიახლეები -
საქართველოს კანონი
ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
შესახებ](#)

[მნიშვნელოვანი სასამართლო
გადაწყვეტილება](#)

[მნიშვნელოვანი სასამართლო
გადაწყვეტილება](#)

კომერციულიკოლეგიების/პალატების შექმნისათვის საჭირო საკანონმდებლო პაკეტი საქართველოს პარლამენტს, სავარაუდოდ, 2017 წლის პირველ ნახევარში წარედგინება; პარალელურად იგეგმება მოსამართლეობის კანდიდატთა საზღვარგარეთ განათლების, გადამზადებისა და ტრენინგების პროგრამები კორპორატიულ, საგადასახადო და სავაჭრო სამართალში, აგრეთვე, სამართლის სხვა შესაბამის დარგებში.

მნიშვნელოვანი სიახლეები - საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ

2016 წლის ივნისში ხელი მოეწერა საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ. გარდა ამისა, 2016 წლის მაისში საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით.

ეს ორი კანონი მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ბიზნეს გარემოზე საქართველოში, რადგან ორივე მათგანი დაკავშირებულია ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, მის გამოყენებასთან, გამოქვეყნებასა და ხელმისაწვდომობასთან ფართო საზოგადოებისათვის.

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ [ბმულზე](#).

მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

2016 წლის 22 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოიტანა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ (საქმე #28/1798-13).

სასამართლომ განმარტა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარი არ უკარგავს მხარეს საერთო სასარჩელო წესით დავის უფლებას.

რაც შეეხება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, სასამართლომ განმარტა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელია დადგინდეს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება არამართლობიერად იქნა გამოყენებული.

უზრუნველყოფის ღონისძიებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობაა უსაფუძვლო სარჩელი, ან სარჩელზე უარის თქმა, ან მიუხედავად უზრუნველყოფის ღონისძიების სარჩელის აღძვრამდე გამოყენებისა, სარჩელის არ აღძვრა. აღნიშნული წინაპირობების არარსებობისას უზრუნველყოფის ღონისძიებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაუშვებელია, რადგან არ არსებობს დასახელებული კანონისმიერ წინაპირობათაგან არცერთი.

მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

2016 წლის 1 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოიტანა მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით (საქმე #28/1053-15).

სასამართლოს განმარტებით, ხანდაზმულობის ვადაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა, იგი განუხორციელებელია,

ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

შესაბამისად, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებს, სასამართლომ განმარტა, რომ ყოველი გადახდა გულისხმობს მოვალის მიერ მოთხოვნის აღიარებას, რაც ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას იწვევს.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge

გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge



deloitte.ge

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცო ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 225 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში Facebook, LinkedIn, Twitter.

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცო ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

ლ. ასათიანის ქ. 36ა
თბილისი, 0105 საქართველო

@ 2016 შპს დელოიტი და ტუმ. ყველა უფლება დაცულია.